ხელშეკრულება საქონლის გამარტივებული შესყიდვების შესახებ №0220

ქ. თელავი 17 თებერვალი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის ვასილ დავითაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „თელავი ჯგუფი“- დირექტორი გოდერძი მამუკელაშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: **სარეცხი და საწმენდი საპრიალებელი საქონელი** ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის მეთოდით. კლასიფიკატორის – კოდები 39800000, 39831000 . **დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი.**

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ **ჰიგიენური საქონლის მიწოდება** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდების ვადებია: **2011 წ.17 თებერვლიდან, 2011 წ. 31 დეკემბრამდე.**
3.2. საქონლის მიწოდების ადგილი: **ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16.**

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2.შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია :
– გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;
– მიიღოს ნაყიდი ქონება.
5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- უკან დაუბრუნოს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონელი, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.
5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
– გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში;
– უფასოდ გაუწიოს საგარანტიო მომსახურება ყველა იმ ელექტრო მოწყობილობას რომელსაც ის მიაწვდის „შემსყიდველს” ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.**

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში**

7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი) **საქონლის მიღების შემდეგ.**

7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: **სასაქონლო ზედნადები ან ა/ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.**

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2011 წლის 31 დეკემბრამდე.**

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.

11.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მთ.სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში ვალერი გაგნიძე.

12. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თელავის მუნიციპალიტეტი ს.კ. 231280093 თელავი, ერეკლე II №16	შპს „თელავი ჯგუფი” მის: ქ, თელავი ალაზნის გამზირი.№4 „თიბისი ბანკი“ ანგ№ 93936020100005 ს/კ 231289496 ბანკის კოდი 220101824
„შემსყიდველი“----------	„მიმწოდებელი“----------